ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 6

ქ. თბილისი

05.04.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ** - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
3. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
4. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
5. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი
8. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ლევან გოგიჩაიშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს აიბი - მთიები

   ნინო ჩიკვაიძე - დირექტორი

2. შპს სკოლა - ლიცეუმი ლამპარი

   თამარ მანძულაშვილი - სკოლის წარმომადგენელი

3. შპს კერძო სკოლა ივერონი

   ციალა ჯაფარიძე - დამფუძნებელი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მიხეილ ტეფნაძე

ნინო ბალანჩივაძე

მაკა ნადარეიშვილი

ქეტევან ბოტკოველი

ცირა ნიკოლაშვილი

მაკა ტუკვაძე

თამარ ამზაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გიგიბერია.

სხდომა გაიხსნა 17:30 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს აიბი - მთიებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. შპს კერძო სკოლა ივერონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

1. შპს აიბი - მთიებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა მიხეილ ტეფნაძემ, ნინო ბალანჩივაძემ და მაკა ნადარეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ მიხეილ ტეფნაძის განცხადებით სკოლის შეფასების სისტემის გაცნობით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემა განსხვავდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემისაგან. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მე-17 მუხლის - „აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა“- მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები უნდა ფასდებოდეს ათქულიანი სისტემით, თუმცა, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებითა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მოსწავლეები ფასდებოდნენ შვიდქულიანი სისტემით, რომელიც ეფუძნებოდა ევროპული საგანმანათლებლო მოდელის შეფასების სისტემას და მორგებული იყო სასწავლო პროგრამულ სტანდარტზე. ამასთანავე, სემესტრის განმავლობაში სკოლაში ტარდებოდა, როგორც შუალედური, ისე ფინალური გამოცდები. რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კერძოდ, 23^1 -ე. მუხლით „სემესტრული გამოცდა ინიშნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლიდა, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნოდა.” 23^2-ე მუხლის მიხედვით კი სკოლას უფლება ჰქონდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასისთვის დაენიშნა გამოცდა არა უმეტეს ორ საგანში. თუმცა, ინტერვიურებითა და სასკოლო სასწავლო გეგმით დადგინდა, რომ გამოცდები ტარდებოდა ყველა „ძირითად საგანში“.

ექსპერტებმა სკოლის ადმინისტრაციას განუმარტეს, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა უფლება განსახვავებული შეფასების სისტემის გამოყენების, სამინისტროს ნებართვის გარეშე.

ექსპერტისდ თქმით შპს „აიბი მთიების“ მიერ მონიტოინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2019 წლის 27 მარტის N444 წერილი, რომელსაც თან ერთვოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 22 მარტის წერილი, რომლის მიხედვითაც „... ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების სამართველო არ იყო წინააღმდეგი კერძო სკოლას, „აიბი მთიები“ გაეგრძელებინა წარმოდგენილი წესის მიხედვით მოსწავლეთა შეფასების სისტემა.

ექპსერტმა აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადით ვერ დგინდებოდა სპორტის სამი სახეობის სწავლება. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის დირექტორის ბრძანებით სასკოლო სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე სპორტის საგაკვეთილო საათი განისაზღვრა კვირაში 2 საათით, ჭადრაკი კი - დამატებით მეცადინეობაში. ხოლო VII- XII კლასებში სპორტის სახეობად განისაზღვრა ჭადრაკი, მძლეოსნობა და მხატვრული ტანვარჯიში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით III-IV კლასებში უნდა ყოფილიყო საგანი „მე და საზოგადოება“ სწავლება. სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნული საგანი არ ფიქსირდებოდა. ინტერვიურებით დადგინდა, რომ საგანი „მე და საზოგადოება“ ინტეგრირებულად ისწავლებოდა „საქართველოს ისტორიის“ პროგრამული კურსითა და სააღმზრდელო პროგრამით.

სხდომის თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ სარგებლობდა სკოლა განსხვავებული შეფასების სისტემით.

სკოლის წარმომადგენლის _განმარტებით მოსწავლეები ფასდებოდნენ შვიდ ქულიანი სისტემით. რომელიც ეფუძნებოდა ევროპული საგანმანათლებლო მოდელის შეფასების სისტემას და მორგებული იყო სასწავლო პროგრამულ სტანდარტზე. სემესტრისა და წლის ბოლოს ხდებოდა 7 ქულიანი სისტემის კონვერტაცია 10 ქულიან სისტემაზე. ამგვარი შეფასების სისტემა ემსახურებოდა მოსწავლის ინტერესებს, მიმართული იყო მოსწავლის ფსიქო-ემოციური და ფიზიკური განვითარებისკენ, მის მიერ შეძენილი აკადემიური, ინტელექტუალური და ფიზიკური უნარ-ჩვევებისა და მიღწევების შეფასებლად.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. ექსპერტ მიხეილ ტეფნაძის განცხადებით შპს აიბი - მთიები, საჯარო რეესტრის 2018 წლის 17 იანვრის ამონაწერისა და ვიზუალური დათვალიერების მიხედვით მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ქუთაისის ქუჩა N20ა-ში. აღნიშნულ მისამართზე საკუთრებაში ფლობდა 5117 კვ.მ. მიწის ფართობსა და მასზე განლაგებულ ორ სასწავლო შენობა-ნაგებობას, რომლებიდანაც ექსპერტთა ვიზიტის დროს ერთში I-VIII კლასები იყო განთავსებული, ხოლო მეორეში - IX-XII კლასები. I-VIII კლასების შენობის ფართობი იყო 3764 კვ.მ., ხოლო IX-XII კლასებისა 1545.4 კვ.მ.. I-VIII კლასების შენობის 3764 კვ.მ. ნული სართულის ფართობიდან 125 კვ.მ. დათმობილი იყო სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებისათვის.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა, იყო თუ არა იზოლირებული სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებისთვის გამოყოფილი ფართი სკოლის დანარჩენი ნაწილისგან.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებისთვის გამოყოფილი ფართი იზოლირებული იყო და ცალკე შესასვლელი ჰქონდა.

ექსპერტის თქმით სკოლის შენობა-ნაგებობებში მოწყობილი იყო 86 საკლასო ოთახი. 71 კლასი განლაგებული იყო I-VIII კლასების შენობაში, ხოლო 15 IX-XII კლასების შენობაში. საკლასო ოთახების ფართი საშუალოდ შეადგენდა 40 კვ.მ.-ს. საკლასო ოთხებში განლაგებული იყო 1377 ინდივიდუალური მერხი და სკამი. 500-ზე მეტი მერხი და სკამი დასაწყობებული იყო. შესყიდვისა და ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის მიხედვით სკოლას ჰქონდა 1903 მერხი და სკამი. „შპს აიბი - მთიების საკლასო ოთახებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შპს აიბი - მთიების დირექტორის 2018 წლის 17 სექტემბრის N103 ბრძანების მიხედვით 2018-2019 სასწავლო წელს შპს აიბი - მთიების საკლასო ოთახებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრებოდა არაუმეტეს 24 მოსწვალით. ყველა საკლასო ოთახში იყო დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო სხვადასხვა ინვენტარი.

საკლასო ოთახებში შექმნილი იყო მოსწვლეთა ასაკობრივი პროგრამების თემატური შინაარსის შესაბამისი გარემო. გამოფენეილი იყო საგანმანათლებლო თვალსაჩინოებები, საორგანიზაციო შინაარსის დოკუმენტები და მოსწავლეთა ნამუშევრები. კლასის მოწყობის დიზაინი იცვლებოდა სკოლის საფეხურებისა და ასაკობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.3. ექსპერტ მიხეილ ტეფნაძის განცხადებით,

მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით სკოლაში ირიცხება 1270 მოსწავლე. სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლაში იყო საჭირო შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე რესურსი, კერძოდ, სკოლაში დასაქმებულთა რიცხვი შედაგენდა 189 თანამშრომელს, რომელთა შორის იყვნენ 131პედაგოგი, 21 ადმინისტრატორი: დირექტორი, ფინანსური მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, საშუალო სკოლის დირექტორი, საბაზო სკოლის დირექტორი, დაწყებითი სკოლის დირექტორი , საშუალო სკოლის კოორდინატორი, საბაზო სკოლის კოორდინატორი, დაწყებითი სკოლის კოორდინატორი, შიდა აუდიტი, ოფისმენეჯერი, ბუღალტერი, სამეურნეო საქმის მენეჯერი, დღის რეჟიმის მართვის მენეჯერი, ფსიქოლოგი, იურისტი, ექიმი და ბიბლიოთეკარი; 27 ტექნიკური პერსონალი: კვების ბლოკის მენეჯერი, დამლაგებელი, მეეზოვე, მძღოლი, დაცვა და ა.შ.

ექსპერტის თქმით შპს აიბი-მთიებს მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურპერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები. ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა საქართველოს შორმის კოდექსით გათვალისწინებულ ძირითად პუნქტებს: შვებულებასა და ზეგანაკვეთურ სამუშაოს. აღნიშნულის დეტალის გასწორების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას, სკოლის ადმინისტრაციამ ჩაასწორა ხელშეკრულების ტექსტი და დაიწყო ხელშეკრულებების შეთანხმება.

ექსპერტის თქმით სკოლაში იყო ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობილი გარემო. სკოლის თანამშრომლები ერთ გუნდად იყვნენ შეკრულები და შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მშობლებთან ინტერვიურებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ერთერთი ძლიერი მხარე შექმნილი უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემო იყო. მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლებისა და აღმზრდელი-პედაგოგების თბილი და თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აიბი - მთიების ავტორიზაციის გაუქმები საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს აიბი - მთიების (ს/კ:202166921) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1 ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით მონიტორინგის საფუძველი იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2019 წლის 15 თებერვალს შემოსული მშობლის წერილი N177293, იმის თაობაზე, რომ მშობელს სურდა ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანა და შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარის დირექტორი არ აძლევდა მას მისი შვილის საბუთებს. ექსპერტებმა შეისწავლეს საკითხი. დირექტორთან, დირექციის თანამშრომლებთან, კლასის დამრიგებელთან და სხვა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: კონკრეტული მოსწავლე სკოლაში გადმოიყვანეს 2018 წლის 12 ოქტომბერს. მოსწავლე ხშირად აცდენდა გაკვეთილებს ან დედას მოჰყავდა დაგვიანებით, რაც ჟურნალში არსებული აღრიცხვითაც დგინდებოდა, ხოლო 19 ნოემბრის შემდგომ მოსწავლეს ფაქტიურად აღარ უვლია სკოლაში. მასწავლებლების და მოსწავლეების დახასიათებით მას უჭირდა კონტაქტი თანაკლასელებთან. სკოლის წარმომადგენლები ყვებოდნენ იმის შესახებაც, რომ ისინი ხშირად ურეკავდნენ მშობელს, რამდენადაც თავად მოსწავლეს მობილური არ ჰქონდა, თუმცა მასთან დაკავშირებას ვერ ახერხებდნენ. მათ გაიხსენეს ერთი შემთხვევაც, როდესაც მშობელი პირველი სემესტრის ბოლოს მოვიდა სკოლაში დირექტორთან, მოითხოვა მასთან სასწრაფო შეხვედრა, მაგრამ არ დაელოდა მის გამოსვლას ერთ-ერთი კლასის მშობელთა კრებიდან და დატოვა სკოლა მოუცლელობის მიზეზით. ჟურნალის მიხედვით, მოსწავლეს დახურული ჰქონდა პირველი სემესტრი. ძირითადად მისი შეფასება სხვადასხვა საგანში გამოყვანილი იყო რამდენიმე ნიშნის

და თითო შემაჯამებელი დავალების საფუძველზე. საერთო ჯამში მოსწავლე თითქმის ყველა საგანში 4 ქულით იყო შეფასებული. მხოლოდ რუსულ და ინგლისურ ენებში ჰქონდა შედარებით მაღალი შეფასება.

დირექტორის განმარტებით, მან არაერთხელ სცადა მშობელთან დაკავშირება, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო 24 დეკემბერს მიიღო მოთხოვნა აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლიდან მოსწავლის საბუთების გამოთხოვასთან დაკავშირებით. მისივე განმარტებით მან ისევ სცადა მშობელთან დაკავშირება, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. დირექტორის განმარტებით, კანონის თანახმად, მას არ ჰქონდა უფლება მშობლის განცხადების გარეშე მოსწავლე ამოერიცხა სკოლიდან. შესაბამისად, მეცხრე კლასელი მოსწავლე კვლავ რჩებოდა ამ სკოლის მოსწავლედ და ყველა საგანში ეწერებოდა არები. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დირექტორი კიდევ დაუკავშირდა იმ საჯარო სკოლის დირექტორს, რომელი სკოლიდანაც მოვიდა მოთხოვნა მოსწავლის საბუთების მოთხოვნის შესახებ. როგორც საჯარო სკოლის დირექტორის საუბრიდან დადგინდა, მოსწავლე არც იმ სკოლაში ესწრებოდა სასწავლო პროცესს. სკოლა-ლიცეუმ ლამპარის დირექტორის განმარტებით, იგი ელოდებოდა მშობლის განცხადებას, რათა ამოერიცხა მოსწავლე. ექსპერტთა მცდელობაც, მშობელს დაკავშირებოდნენ, უშედეგო აღმოჩნდა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, სკოლის დირექტორს ჰკითხა, რატომ არ მიმართა სკოლამ შესაბამის ორგანოებს, ამ შემთხვევაში სოციალურ სამსახურს და პოლიციას, როდესაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა მშობელთან კომუნიკაცია.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას ადრე ჰქონდა მსგავსი შემთხვევა და სოციალურ სააგენტოში სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად მას განუცხადეს, რომ თუ ფიზიკური ძალადობის შემთხვევა არ ფიქსირდებოდა მოსწავლეზე მშობლის მხრიდან, მათ კომპეტენციაში არ შედიოდა მსგავსი საქმის წარმოებაში მიღება.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და განაცხადეს, რომ მათ კომპეტენციაში შედიოდა სკოლის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმება, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ საქმე ეხებოდა მოსწავლის უსაფრთხოებას, სკოლის დირექტორს მისცეს რეკომენდაცია მიემართა სოციალური სამსახურისთვის და პოლიციისთვის წერილობით, რადგან სატელეფონო კომუნიკაცია ვერ ჩაითვლებოდა იურიდიულ დოკუმენტად.

ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით სკოლას ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით არსებითი ხასიათის ხარვეზები არ გააჩნდა. სკოლის შენობის ორივე სართულზე

თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები, ხოლო კიბის უჯრედებში ჩამოკიდული იყო ცეცხლმაქრები. ცეცხლმაქრების ვარგისიანობა ვერ დადგინდა, რამდენადაც მათ არ ჰქონდათ „მონომეტრი“, რომელზეც აღრიცხული უნდა ყოფილიყო დატენილი იყო თუ არა ცეცხლმაქრი. ამ თემასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია და სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ახალი მოთხოვნის შესაბამისი ცეცხლმაქრებით სკოლის უზრუნველყოფა რამდენიმე დღეში განხორციელდებოდა.

მეორე სართულზე ასავლელ კიბის უჯრედში კედელზე დამაგრებული იყო სახანძრო უსაფრთხოების სტენდი. რამდენადაც საევაკუაციო გეგმები ასევე არ იყო ახალი მოთხოვნების შესაბამისი, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მათ შეცვლასთან დაკავშირებითაც, რაც ვიზიტის პერიოდშივე განხორციელდა.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა, დასკვნაში ასახული იყო, რომ მიღებული 4 პედაგოგი არ იყო სქემაში ჩართული და მათი მიღების უფლება არ ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლის დირექტორის განცხადებით აღნიშნულ 4 პედაგოგს ჰქონდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ისინი სკოლაში ასწავლიდნენ მოწვეული პედაგოგების სტატუსით, რაც კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარის (ს/კ:208148930) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს კერძო სკოლა ივერონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა მაკა ტუკვაძემ და თამარ ამზაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდა ერთ-ერთი მოსწავლის მშობლის წერილის საფუძველზე. წერილის თანახმად, მოსწავლე არ დადიოდა სკოლაში და ვერ იღებდა სასკოლო განათლებას სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. მშობელს გასული სასწავლო წლის დავალიანებაც ჰქონდა და ამ დავალიანების მხოლოდ ნაწილი ჰქონდა დაფარული.

მშობლის წერილით, სკოლის დირექტორი ვალის ეტაპობრივ გადხდაზე არ თანხმდებოდა და ბავშვს არ უშვებდა გაკვეთილებზე. როგორც დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, ხელშეკრულებას თან ერთვოდა გადახდის გრაფიკი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო გრაფიკით გათვალისწინებულზე ნაკლებიც გადაეხადა, რისი საშუალებაც ჰქონდა მშობელს ან გადაეყვანა ბავშვი საჯარო სკოლაში.

მშობელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მოსწონდა სკოლა და არ უნდოდა სხვა სკოლაში გადასვლა. ბავშვს სკოლაში ვირუსის გავრცელების გამო არ ატარებდა და წერილი სახალხო დამცველს აფექტის მდგომარეობაში მიწერა, რადგან სკოლის წარმომადგენლები ხშირად ახსენებდნენ ვალის გადახდის ვალდებულებას . მშობელმა აღნიშნა რომ, წერილის დაწერამდე არ ჰქონია კომუნიკაცია სკოლის დამფუძნებელთან. ამ დროისთვის სკოლის დამფუძნებელსა და მშობელს შორის მოღწეული იყო შეთანხმება და ბავშვი ჩართული იყო სასწავლო პროცესში. შესაბამისად კონფლიქტიც ამოწურული იყო.

სხდომის თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, მოხდა თუ არა მისი მხრიდან მოსწავლისთვის სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სერვისების შეზღუდვა მაგ. კვებასთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენლის თქმით მოსწავლე ჩვეულებრივ სარგებლობდა იმ სერვისებით, რითიც სხვა მოსწავლეები.

ექსპერტის თქმით სკოლას ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით არსებითი სახის ხარვეზები არ გააჩნდა. ვიზიტის დროს სკოლაში არ იყო დამონტაჟებული სახანძრო უსაფრთხოებისთვის საჭირო ცეცხლმაქრები. დირექტორის განმარტებით სკოლამ ცეცხლმაქრები ჩამოხსნა, რადგან ვადა გაუვიდა და გამზადებული იყო დასამუხტად.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა ცეცხლმაქრების გადამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო სკოლა ივერონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კერძო სკოლა ივერონს (ს/კ:211333305) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 19:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

გიორგი გიგიბერია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე